

რომელიც გახდება ხაზის მესაკუთრე. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ასევე პასუხისმგებელი იქნება მიწების შესყიდვაზე. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს პასუხისმგებლობა პროექტის მომზადებაზე დამთავრდება მას შემდეგ, რაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიიღებს/ დაამტკიცებს ტექნიკურ და გარემოსდაცვით ანგარიშებს.

**პროექტის აღწერა**

პროექტის სხვადასხვა ობიექტი/მონაკვეთი განლაგებულია ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. საბოლოო პროექტი დაეფუძნება ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების შედეგებს, რომელიც გაკეთდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზმ) პარალელურად. სამშენებლო ხარჯები შეადგენს დაახლოებით 40 მლნ. აშშ დოლარს. ქვემოთ მოყვანილ რუკაზე ნაჩვენებია დაგეგმილი მარშრუტი ბათუმიდან ახალციხემდე შუახევის გავლით.

მშენებლობა ითვალისწინებს ბათუმი-ახალციხის 220 კვ ელექტრო-გადამცემი ხაზის მშენებლობას შუახევისა და კორომხეთის ჰესების საქართველოს ელექტროქსელთან შესაერთებლად. მარშრუტის შესწავლა მოხდა 2012-2013 წწ. ბათუმისა და ახალციხის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ

ელექტრო-გადამცემი ხაზის ოპტიმალური დერეფნის დადგენის მიზნით. მარშრუტის დერეფნის დადგენისას მოხდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება:

მარშრუტის გასწვრივ ანძებთან მისვლის შესაძლებლობა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში; ხაზის მშენებლობის შესაძლებლობა ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით; გარემოსდაცვითი შეზღუდვები; საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, მეწყერსაშიში ადგილების გათვალისწინებით.

დაგეგმილი მარშრუტი ჯერ კიდევ საჭიროებს ოპტიმიზაციას, საჭიროა დეტალური მონაცემების შეგროვება და შესწავლა ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილი შეფასების მიზნით. დაგეგმილი დერეფანი ნაწილობრივ - დაახლოებით 11 კმ მანძილზე გადის არსებული ხაზის (110 კვ 'ადიგენი-ბეშუმის') დერეფანში (ბეშუმის აღმოსავლეთით). ჩატარდა ანძების პოტენციური განლაგების წინასწარი შესწავლა მარშრუტის გავლისა და გამოვლენილი შეზღუდვების შედეგების მიხედვით, ხოლო საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს.

გადამცემი ხაზის მშენებლობის დროს ძირითადი საქმიანობა მოიცავს: ანძების განლაგების ადგილებთან მისასვლელი გზების

მოწყობას, ანძების ბეტონის საძირკვლების მოწყობას, ანძების მონტაჟს (საშუალოდ 300-400 მ-ის მალით) და გადამცემი სადენების გაჭიმვას. გადამცემი ხაზის ანძები დაახლოებით 22 მ სიმაღლის იქნება და საძირკვლისათვის დაახლოებით 50-80 მ<sup>2</sup> ფართობს საჭიროებს, განლაგების მიხედვით (ფერდობზე უფრო მეტი ფართობია საჭირო).

ჰესების სისტემისა და გადამცემი ხაზის სამუშაო ფაზის დროს შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ვალდებული იქნება გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ეს პროცესი, ადგილობრივებისთვის სამუშაო ადგილების შექმნასთან და შემდგომში კარიერულ ზრდასთან ერთად მთლიანად რეგიონს მნიშვნელოვან და მდგრად სარგებელს შეუქმნის.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-მ ასევე დიდი თანხა გამოყო შუახევში პროფესიული მომზადების ცენტრის მოსაწყობად, სადაც 400-ზე მეტმა ადამიანმა შეისწავლა ძირითადი სამშენებლო პროფესიები (როგორც არის შემდუღებული, ელექტრიკოსი, მანქანა დანადგარების ოპერატორი) და გაიარა მშენებლობასთან დაკავშირებული შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სწავლებები. გადამცემი ხაზის მშენებლობაში, ჰესების მშენებლობასთან ერთად, მონაწილეობას ის კანდიდატები

მიიღებენ, რომლებიც წარმატებით გაივლიან სასწავლო კურსებს და პროფესიული სწავლების სახელმწიფო სტანდარტს დააკმაყოფილებენ.

გადამცემი ხაზი საჭიროებს გარკვეულ მონაკვეთებზე ტყის გაკაფვას სადენების გასაჭიმად და მიწის სამუშაოების ჩატარებას ანძების დასაყენებლად. ბსგზმ-თი განსაზღვრული პრევენციული ან შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენებით უნდა მოხდეს ბუნების ღირშესანიშნაობების, არქეოლოგიური და კულტურული ძეგლების დაზიანებისგან დაცვა. წინასამშენებლო შესწავლისას გამოვლენილი ადგილები წითელ წიგნში შეტანილი ხეებითა ან არქეოლოგიური ძეგლებით მოინიშნება და საპროექტო გეგმებში იქნება შეტანილი, რათა მოხდეს მათთვის გვერდის ავლა. მშენებლობის დროს მთავარი ამოცანაა გადამცემი ხაზის დერეფანში სენსიტიურ (მგძნობიარე) უბნებზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.

**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედება**

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას ადგილობრივი გარემოს ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ფონური (არსებული) მდგომარეობის შესახებ, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს შესაძლო დადებითი და უარყოფითი



ზემოქმედებების ანალიზს მათი მნიშვნელობის მიხედვით, შემარბილებელი ღონისძიებების შერჩევას, გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმების შემუშავებას. ბსგზმ პროცესში შემარბილებელი ზომების მიზანია:

- კულტურული/ისტორიული კუთხით სენსიტიური უბნებისთვის გვერდის ავლა, სადაც ეს შესაძლებელია,
- სამუშაოების საწარმოებლად უკეთესი გზების გამოძებნა, ისე, რომ მოხდეს უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა, შესაბამისად უფრო მეტი სარგებლობის მიღება; და
- იმის უზრუნველყოფა, რომ საზოგადოებამ ან კერძო პირებმა არ იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე სარგებლობას ნახავენ.

ბსგზმ-ს მოყვება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და მართვის გეგმები სამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპები. ბსგზმ შემუშავდება საქართველოს სამეცნიერო და არასამთავრობო სექტორებში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე იმ მიზნით, რომ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში გათვალისწინებული იქნება სახეობების და ჰაბიტატების შენარჩუნების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

### საჯარო კონსულტაციები

მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ახალციხე ბათუმის 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტისთვის საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდება ბსგზმ-ს პროცესის საწყის (სკოპინგ) ეტაპზე და ბსგზმ პირველადი ანგარიშის მომზადების შემდეგ. ეს საჭიროა საზოგადოებისთვის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებების გასაცნობად და მათთვის აზრის გამოთქმისა და კომენტარების გაკეთების საშუალების

მისაცემად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბსგზმ დოკუმენტაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი შეხვედრების ჩატარებამდე უნდა გახდეს. შეხვედრების ზუსტი ადგილები, თარიღები, და დრო მოგვიანებით გამოცხადდება საინფორმაციო საშუალებებით.

გადამცემი ხაზის დაგეგმარების და მშენებლობის განმავლობაში შეიქმნება წინადადებების და პრეტენზიების განხილვის კომისია, რომლითაც ისარგებლებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობა. საკონტაქტო მონაცემები მოცემულია ქვემოთ.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-მ გამოყო ქართულად მოლაპარაკე პერსონალი, რომელიც მნიშვნელოვან და აქტიურ როლს ითამაშებს შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ძირეული ინფორმაციის გაცვლაში, რაც საჭიროა სამუშაოებთან დაკავშირებით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად და რჩევების მისაცემად.

### პროექტთან დაკავშირებული კომენტარებითა და შეკითხვებით უნდა მიმართოთ შემდეგ მისამართებზე:

**აჭარისწყალი ჯორჯია**  
+995 577 509222 10.00-დან 16.00-მდე  
ორშაბათიდან პარასკევამდე  
ირაკლი აბაშიძის ქ. 6;  
ბათუმი 6010; საქართველო  
ელ. ფოსტა: adjara220kv@gmail.com

**ან**  
**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჯგუფი**  
**შპს დე კონსალტინგი**  
ელ. ფოსტა: akhaltsikhebatumiohl@gmail.com

პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლება მოხდება რეგულარულად და ხელმისაწვდომი იქნება აჭარისწყალი საქართველოს ვებ-გვერდზე:  
[www.adjaristsqali.com](http://www.adjaristsqali.com)



Adjaristsqali  
Georgia  
LLC



ამ საინფორმაციო ბუკლეტის მიზანია ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ მომზადებული ახალციხე-ბათუმის 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, ამ პროექტის აჭარისწყლის ჰესების მშენებარე სისტემასთან კავშირის ასახვა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის აღწერა. ეს დოკუმენტი ვერ იქნება ყოვლისმომცველი და არ ასახავს ჩასატარებელი სამუშაოების ყველა დეტალს, მაგრამ მკითხველს საკმარის წარმოდგენას მისცემს პროექტზე და პროექტის განხორციელების არეალში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და თავიდან აცილების/შერბილების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესზე.

საქართველოს მთავრობა აპირებს გააძლიეროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ენერჯო ქსელი ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220კვ ორმხრივი გადამცემი ხაზით. ახალი გადამცემი ხაზი უზრუნველყოფს რეგიონის უფრო სტაბილურ ენერჯომომარაგებას, შეამცირებს გათიშვებს და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას საშუალებას მისცემს ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ახალი გადამცემი ხაზი ერთიან ქსელს ასევე

დააკავშირებს მდ. აჭარისწყალზე შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიერ მშენებარე შუახევის 178 მვტ და კორომხეთის 150 მვტ ჰესებს.

აჭარისწყლის ჰესების კასკადის პროექტის განმახორციელებელი კომპანია "აჭარისწყალი ჯორჯია" წარმოადგენს კომპანიების "კლინ ენერჯი ინვესტის" (Clean Energy Invest AS) (ნორვეგია), "ტატა პაუერ ინტერნეიშონალ" (Tata Power International) (ინდოეთი) და მსოფლიო ბანკის ჯგუფის (World Bank Group) წევრი "აი-ეფ-სის" (IFC) საკუთრებას. კომპანიასა, მსოფლიო ბანკის, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და საქართველოს მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმებით, კომპანია დააფინანსებს პროექტის საინჟინრო და გარემოსდაცვით კვლევებს, ხოლო მშენებლობის დაფინანსება იგეგმება მსოფლიო ბანკის მხრიდან. გადამცემი ხაზის პროექტის მომზადება დაევალა ბრიტანულ კომპანია "მოტ მაკდონალდს" (Mott MacDonald Ltd, UK), ხოლო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება - შპს. "დე კონსალტინგს" (საქართველო).

220 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობასა და მუშაობაზე პასუხისმგებელია ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“,